



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492123914

თარიღი:27/08/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 73

ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი №4-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.37.210 სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით რაგბის მოედნისათვის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის

თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 აგვისტოს 48-4821229114 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №4-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.37.210 სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით რაგბის მოედნისათვის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №4-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9725,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.37.210 სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით რაგბის მოედნისათვის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

